ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5348937

ნომერი: AR1813507

თარიღი : 23.03.2021

გაცემის თარიღი : 31.03.2021

გაცნობის თარიღი : 31.03.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წავკისი , N 4 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლება (ყოფ. დავითაშვილი), N 45 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლება , N 47;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 23 მარტს №AR1813507 განცხადებით მომართა ვლადიმერ აბრამიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 11 თებერვლის №5286378 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 11 თებერვლის №5286378 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, წავკისის ქუჩა №4; ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) ქუჩა №45; ამაღლების ქუჩა №47-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.15.05.088.083) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 11 თებერვლიდან 2023 წლის 11 თებერვლის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 11 თებერვლის №5286378 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ განმცხადებელს სურს აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებულ ავტოსადგომის და საერთო ფართობებს დაემატოს ველოსიპედისა და მოპედების სადგომის ფართობი 46.52 კვ.მ. დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 0.00 ნიშნულზე მდებარე 46.52 კვ.მ. ფართობი არის ღია სივრცე და თავისი ფუნქციით წარმოადგენს შენობაში შესასვლელს/შენობიდან გასასვლელს.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, ავტოსადგომის ფართობში და შესაბამისად, საერთო ფართობში ვერ დაფიქსირდება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ავტოსადგომის ფართობის მითითებასთან დაკავშირებით სამსახურის 2021 წლის 11 თებერვლის №5286378 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა აღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურის 2021 წლის 11 თებერვლის №5286378 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.